

## თავი IV

### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2014 წლის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-662 611.7) ათასი ლარის ოდენობით.

#### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 347 335.2 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 419 475.1 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის ფაქტიური შესრულება
	333,896.2	419,475.1
ვალუტა და დეპოზიტები	25,000.0	147,272.9
სესხები	134,864.2	105,830.1
აქციები და სხვა კაპიტალი	174,032.0	166,372.1

\*ვალუტა და დეპოზიტებში 147 272.9 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 287 146.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2015 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრა 434 419.2 ათასი ლარით (მათ შორის, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში ვადაინ დეპოზიტებზე განთავსებული 172 835.1 ათასი ლარი).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 72 139.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის ფაქტიური შესრულება
	70,000.0	72,139.9
სესხები	70,000.0	72,136.8
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	3.1

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 1 009 946.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 569 680.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- 572 815.6 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 515 148.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 481 716.9 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 0.1 ათასი ლარი - შემოსულობა აქციებიდან და სხვა კაპიტალიდან;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის ფაქტიური შესრულება
	1,636,000.0	1,569,680.6
საშინაო	600,000.0	572,815.6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	600,000.0	572,815.6
საგარეო	1,036,000.0	996,865.0
სესხები	1,036,000.0	996,864.8
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.1

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
<b>ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები</b>	<b>515,148.0</b>
WB	159,841.7
IMF	214,824.9
ADB	140,481.5
<b>საინვესტიციო, შეღავათიანმა კრედიტები</b>	<b>481,716.9</b>
IFAD	7,964.5
WB	103,530.2
EBRD	21,572.2
ADB	163,297.7
EIB	82,646.7
საფრანგეთი	3,470.3
იაპონია	89,201.8
გერმანია	10,033.5
<b>სულ კრედიტები</b>	<b>996,864.8</b>

2014 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 38 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 898 490.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 43.9% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 33.5% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 18.1% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.5% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 879 313.4 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 3 160.5 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 310 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 303 337.3 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 6 662.7 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 572 815.6 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 95.5 %-ს შეადგენს.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2014 წელს დაგეგმილი 200.0 მლნ ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 172 835.1 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

**2014 წლის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები**

თვე	ფასიანი ქაღალდების ემისია (ნომინალური ღირებულებით)		ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალური ღირებულებით)	სხვაობა ფასიანი ქაღალდების ემისიას და დაფარვას შორის	ვაღდებულებების წმინდა ზრდა
	მთლიანად	მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის თვის			
იანვარი	124,500.0		85,000.0	39,500.0	36,325.6
თებერვალი	106,567.0	43,917.0	0.0	106,567.0	104,773.9
მარტი	107,417.0	43,917.0	20,000.0	87,417.0	86,691.3
აპრილი	95,000.0		60,000.0	35,000.0	31,192.3
მაისი	60,000.0		25,000.0	35,000.0	34,426.1
ივნისი	55,000.0		0.0	55,000.0	53,287.1
ივლისი	131,087.0	41,087.0	65,000.0	66,087.0	63,824.7
აგვისტო	73,919.0	43,919.0	0.0	73,919.0	73,353.8
სექტემბერი	40,000.0		20,000.0	20,000.0	19,776.2
ოქტომბერი	20,000.0		0.0	20,000.0	20,000.0

ათას ლარებში

თვე	ფასიანი ქაღალდების ემისია (ნომინალური ღირებულებით)		ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალური ღირებულებით)	სხვაობა ფასიანი ქაღალდების ემისიას და დაფარვას შორის	ვალდებულებების წმინდა ზრდა
	მთლიანად	<i>მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის თვის</i>			
ნოემბერი	35,000.0		35,000.0	0.0	185.2
დეკემბერი	50,000.0		0.0	50,000.0	48,979.4
<b>სულ</b>	<b>898,490.0</b>	<b>172,840.0</b>	<b>310,000.0</b>	<b>588,490.0</b>	<b>572,815.6</b>

3. ვალდებულებების კლება 559 733.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ვალდებულებების კლება	ათას ლარებში	
	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის ფაქტიური შესრულება
	573,466.7	559,733.7
საშინაო	66,487.4	56,284.6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35,000.0	35,000.0
სესხები	1,181.6	1,181.4
სხვა კრედიტორული დავალიანებები	30,305.8	20,103.2
საგარეო	506,979.3	503,449.0
სესხები	503,000.0	499,469.7
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,979.3	3,979.3

### საქართველოს სახელმწიფო ვალი

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 10 374.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 547.9 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 440.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 132.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 372.1 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 930.6 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე.წ. „ისტორიული ვალი“) - 672.3 მლნ ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7 826.7 მლნ ლარი.

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
<b>სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი</b>	<b>7,826,743.2</b>
<b>მთავრობის საგარეო ვალი</b>	<b>7,747,363.1</b>
<b>მრავალმხრივი კრედიტორები</b>	<b>5,428,611.1</b>
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,395,347.4
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	905,321.7
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	55,730.9
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	315,427.8
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	179,005.3
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,126,941.0
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	450,837.1
<b>ორმხრივი კრედიტორები</b>	<b>1,382,220.0</b>
ავსტრია	24,763.0
აზერბაიჯანი	21,454.2
თურქმენეთი	393.4
თურქეთი	41,042.9
ირანი	16,706.9
რუსეთი	175,050.9
სომხეთი	25,162.3
უზბეკეთი	501.9
უკრაინა	458.3
ყაზახეთი	51,759.6
ჩინეთი	7,213.0
გერმანია	551,908.2
იაპონია	259,834.0
კუვეიტი	34,553.5
ნიდერლანდები	2,975.3
ამერიკა	53,929.7
საფრანგეთი	114,513.0
<b>ფასიანი ქაღალდები</b>	<b>931,800.0</b>
ევროობლიგაცია	931,800.0
<b>გარანტირებული კრედიტები</b>	<b>4,732.0</b>
გერმანია	4,732.0
<b>საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი</b>	<b>79,380.1</b>
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	79,380.1